

გეოგრაფია  
ტესტის ნიმუში  
exam.ge

- კითხვა არჩევითი პასუხებით

**ინსტრუქცია**


თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რა არის გამოსახული სურათზე?



- ა. კანიონი
- ბ. ჭორომი
- გ. მეანდრა
- დ. ატოლი

2. ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული რუკა.



რომელი რელიგიის გავრცელებაა ასახული რუკაზე ამ თანაფარდობით?

- ა. ინდუიზმი
- ბ. ისლამი
- გ. ქრისტიანობა
- დ. ბუდიზმი

**3. რომელმა მოგზაურმა აღმოაჩინა პირველად აფრიკის შემოგავლით ინდოეთისაკენ მიმავალი გზა?**

ა. ქრისტეფორე კოლუმბმა

ბ. ფერნანდო მაგელანმა

გ. ვასკო და გამამ

დ. ამერიგო ვესპუჩმა

**4. რა გეოგრაფიული შეცდომა დაუშვა ფერნანდო მაგელანის ექსპედიციამ?**

ა. დაამტკიცეს, მსოფლიო ოკეანის ერთიანობა

ბ. ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროებს „ინდოეთის“ სანაპიროები უწოდეს

გ. მიიჩნიეს, რომ ინდოეთთან მიმავალი გზა ოკეანით არ არსებობდა

დ. მოგზაურობის დღიურის წარმოებისას არ გაითვალისწინეს თარიღთა ცვლის ხაზის გადაკვეთა

**5. როცა ყოველი შემდგომი თაობა უფრო ნაკლებია წინა თაობებთან შედარებით მაშინ ადგილი გვაქვს**

ა. მარტივ აღწარმოებასთან

ბ. შეზღუდულ აღწარმოებასთან

გ. გაფართოებულ აღწარმოებასთან

დ. დემოგრაფიულ აფეთქებასთან

**6. რომელ დაცულ ტერიტორიაშია დაცული არიდული ნათელი ხე-ტყე?**

ა. მტირალას ეროვნულ პარკში

ბ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში

გ. თუშეთის ეროვნულ პარკში

დ. ვაშლოვანის ეროვნულ პარკში

**7. რომელ დაცულ ტერიტორიაზე გვხვდება: „ბედლენდები“, ტალახოვანი ვულკანები?**

ა. მტირალას ეროვნულ პარკში

ბ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში

გ. თუშეთის ეროვნულ პარკში

დ. ვაშლოვანის ეროვნულ პარკში

8. საქართველოში ზვავსაშიშ პერიოდად ითვლება

- ა. მარტი-აპრილი
- ბ. იანვარ - მარტი
- გ. ივნისი - აგვისტო
- დ. სექტემბერ - ნოემბერი

9. რას უწოდებენ მცენარეებს, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრული არეალისთვის არის დამახასიათებელი?

- ა. ადვენტს
- ბ. რელიქტს
- გ. ენდემურს
- დ. იმპორტულს

10. სურათზე მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ, ჩამოთვლილთაგან გეოგრაფიის რომელი მიმართულება სწავლობს ამ ობიექტებს?



- ა. ლიმნოლოგია
- ბ. სპალეოლოგია
- გ. ჰიდროლოგია
- დ. გეომორფოლოგია

11. საქართველოს რომელი მხარის სპეციალიზაციაა ადრეული კარტოფილის მოყვანა?

- ა. ქვემო ქართლი
- ბ. შიდა ქართლი
- გ. სამცხე ჯავახეთი
- დ. აჭარა

**12. რას მიუთითებს, საქართველოში აღმოჩენილი ძველი მადაროების სიმრავლე?**

- ა. ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე
- ბ. ქვეყანაში მეტალურგიის განვითარებაზე
- გ. პალეოგლაციალური ნაშთების არსებობაზე
- დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი პასუხი არ არის სწორი

**13. საქართველოს რომელ მხარეში მდებარეობს სამსარის ქედი?**

- ა. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში
- ბ. მცხეთა-მთიანეთში
- გ. სამცხე-ჯავახეთში
- დ. კახეთში

**14. რომელია დასავლეთ საქართველოს ერთადერთი მდინარე, რომელიც კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება?**


- ა. ქვაბლიანი
- ბ. ჩხერიმელა
- გ. ცხენისწყალი
- დ. კოდორი

**15. რომელია საქართველოში შექმნილი წყალსაცავებიდან ყველაზე „ახალგაზრდა“?**

- ა. გალი-ჯვრის წყალსაცავი
- ბ. შაორი - ტყიბულის წყალსაცავი
- გ. სამგორის წყალსაცავი
- დ. ჟინვალის წყალსაცავი

- მონაცემთა ანალიზი და ტრანსფორმაცია (6ქ)

გაანალიზეთ მოცემული დიაგრამები და უპასუხეთ შეკითხვებს



სქემა B	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
1950-1959	799 453	248 048	551 405
1960-1969	850 908	276 034	574 874
1970-1979	792 371	339 014	453 357
1980-1989	833 624	400 560	433 064
1990-1999	623 013	495 258	127 755
2000-2009	<b>X</b>	448 712	53 584

სქემა C	ემიგრაცია	იმიგრაცია
1960-1969	90 231	71 042
1970-1979	91 201	73 412
1980-1989	45 231	101 201
1990-1999	194 423	13 213
2000-2009	109 231	87 242

(1) 1. რომელი სქემა გვაძლევს ზუსტ ინფორმაციას მოსახლეობის რაოდენობის შესახებ?

ა. სქემა N1

ბ. სქემა N2

გ. სქემა N3

(2) 2. სქემა B-სა და სქემა C-ს დახმარებით გამოთვალეთ მოსახლეობის საშუალო რაოდენობა 2000-2009 წლებში. (ჩათვალეთ, რომ მოსახლეობის რაოდენობა წლის დასაწყისში 100 000 კაცი იყო)

---



---

(1) 3. რომელ წელს ან წლებში იყო საქართველოდან გასული მოსახლეობის რაოდენობა შემოსულ მოსახლეობაზე ნაკლები?

ა. 1960-1969 წლებში

ბ. 1970-1979 წლებში

გ. 1980-1989 წლებში

დ. 1990-1999 წლებში

(2) 4. რაზე მეტყველებს ქვეყანაში მაღალი შობადობის დონე და ამასთანავე, მაღალი ემიგრაციის მაჩვენებელი? პასუხი დაასაბუთეთ.

---

---

---

## ტექსტის ანალიზი

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

### მდინარეები

საქართველოს მდინარეების მთავარი წყალგამყოფია სურამის ანუ ლიხის ქედი, იგი საქართველოს მდინარეებს ორი - შავი და კასპიის ზღვის აუზის მდინარეებად ყოფს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი აცალკევებს დასავლეთ საქართველოს მდინარეებს მდ. ყუბანის აუზისგან და მდ. მტკვრის აუზს მდ. თერგისა და მდ. სულაკის აუზისაგან.

დასავლეთ საქართველოში ბევრ მდინარეს დამოუკიდებელი წყალშემკრები აუზი აქვს. აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე მდინარე მტკვრის აუზს ეკუთვნის. ჩრდილოეთ საქართველოს მდინარეები თერგისა და სულაკის აუზს მიეკუთვნება.

მდინარეთა ქსელის სიხშირე საქართველოში 0,85 კმ/კმ<sup>2</sup>-ის ტოლია. გასაგებია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი მჭიდროდ უკავშირდება ნალექების რაოდენობას. ე.ი რაც მეტია ნალექი, მით უფრო მეტია მდინარეული ქსელის სიხშირე.

საქართველოს მდინარეების უდიდესი ვარდნით გამოირჩევა ტეხური, ყველაზე მცირე ვარდნა აქვს მდინარეებს: ფიჩორს, ცივს, ერისწყალს.

ენგური ცნობილია უდიდესი ენერგეტიკული რესურსით, თუმცა სხვა მაჩვენებლით იგი საშუალო მდინარეთა რიცხვს მიეკუთვნება.

1. რომელ ფაქტორებზე არის დამოკიდებული მდინარეთა „ქსელის სიხშირე“?
2. გარდა, ენერგეტიკული რესურსისა, კიდევ რით გამოირჩევა მდინარე „ენგური“?
3. ტექსტიდან გამომდინარე, საქართველოს რომელ რეგიონში იქნება მდინარეული ქსელის სიხშირე შედარებით მეტი?
4. დაასახელეთ დასავლეთ საქართველოს 2 მდინარე, რომელსაც დამოუკიდებელი წყალშემკრები აუზი აქვს.



## პასუხები

N	სწორი პასუხი
1	ბ
2	დ
3	ბ
4	დ
5	ბ
6	დ
7	დ
8	ბ
9	ბ
10	ბ
11	ა
12	ბ
13	ბ
14	ა
15	დ

## მონაცემთა ანალიზი

1. ა
2. 131 595
3. გ
4. 1. ქვეყანა განვითარებადია. 2. ზოგადად, განვითარებად ქვეყნებს ახასიათებს შობადობის მაღალი მაჩვენებელი, ემიგრაციის დიდი რაოდენობას სავარაუდოდ ეკონომიკური ხასიათი უნდა ქონდეს.

## ტექსტის ანალიზი

1. ნალექიანობის სიხშირეზე, რელიეფზე
2. ენგური ყველაზე ენერგეტიკული და სწრაფი მდინარეა, აგრეთვე მასზე გაშენებულია საქართველოში და ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ენგურჰესი
3. აჭარა, აფხაზეთი
4. ნებისმიერი, სწორად დასახელებული მდინარე ფასდება 1 ქულით